# გადაწყვეტილება

N გ-24-17/158
04/04/2024

158-გ-24-1-4-202404041550

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2024 წლის №12
სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომუნიკაციების კომისია") განიხილა კომისიის 2024 წლის 04 აპრილის №12 სხდომაზე წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 04 აპრილის №12 სხდომის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს 3 (სამი) საკითხი:

ა) ააიპ "არასამეწარმეო მედია-კავშირი ობიექტივის" მაუწყებლობის ავტორიზაციის მოდიფიცირების შესახებ (მომხს. ნინო ლორთქიფანიძე - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფი);

ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. ქეთინო სულიაშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფი);

გ) შპს „საქაერონავიგაციისთვის" არაავტორიზებადი საქმიანობისთვის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ (მომხს. ქეთინო სულიაშვილი - იურიდიული დეპარტამენტი, ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფი);

2. დამტკიცდეს კომუნიკაციების კომისიის 2024 წლის 04 აპრილის №12 სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის);
3. გადაწყვეტილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება;
4. დაევალოს კომუნიკაციების კომისიის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე.

ნათია კუკულაძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ქეთევან ნამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144
+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი